

1978



ოჯანო სჰ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.

Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

# რვენი

# ფრეზა

" NOTRE DRAPEAU "

დაარსებულია სოფ შორღანიას მიერ.

ო ქ ბ ო მ ბ ე რ ი 1 9 7 8 პ ა რ ი ზ ი

№ 9 1

შინაარსი:

ნოე ცინცაძე

მსოფლიოს ცეცხლში

ჩინეთი და იაპონია

არჩილ ჯორჯაძე

აგვისტოს დღე.

ცნობები სამშობლოდან.

„კავკასიონი“.

ნეკროლოგები, ფონდი და სხ.

პ. ს. ჯველაძე.

ირ. გავაშელი.

მინდია ლაშაური

## ნოე ცინცაძე

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, 92 წლის ასაკში, გარდაიცვალა საქართველოს მთავრობის წევრი ნოე ცინცაძე. დაღუპულმა ხმა ადამიანის, რომელიც ღირსეული მატარებელი იყო საქართველოს სახელმწიფო დროშის.

დროშა სამფეროვანი, რომელიც ასე ამაყად მას ხელში ეჭირა, გადაეცა მომავალ თაობებს, რომლებიც აღუდგენენ საქართველოს დაკარგულ თავსუფლებას.

მიუხედავად იმისა რომ ქართული საზოგადოება ნოე ცინცაძეს საკმაოდ კარგად იცნობდა, უსათუოდ არ იცის რომ მისი სახით ეროვნულ საქმემ დაჰკარგა თავდადებული, საქართველოს უფლებების მედგარი დამცველი.

ახალგაზრდობიდანვე ნოე ჩადაგა განახლებულ საქართველოს აღმშენებელთა რიგებში; მთავრობის წევრმა, მან ახალგაზრდული გატაცებით შეუდგა მასზე დაკისრებულ სახალხო განათლების მოწყობას. მძიმე იყო რუსეთიდან დატოვებულ, ნახევრად გარუსებული სკოლების ქართულ მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნება. პედაგოგიურ ძალებთან ერთად მან შესძლო, მძიმე პირობებში, დაბრკოლებათა გადალახვა; საქართველოს მოეფინა ქართული სკოლები, სათანადო ქართული სახელმძღვანელოებით. მისი ინიციატივით, ევოპაში სწავლა-განათლების მისაღებად გამოიგზავნა, რამოდენიმე ათეული ახალგაზრდა.

არ დაგვინდო მტერმა;

ძალადობით მოსტაცა ერს დამოუკიდებლობა.

უნდა გენახათ ნოე ცინცაძე მეტეხის ციხეში; ყველას ამხნევებდა და აიძულებდა. როცა 62 პოლიტიკურ ტყვეს საქართველოდან გადასახლება გადაუწყვიტეს, ნოე იმ ხელმძღვანელთა რიცხვში იყო, რომელიც წინაღულდა „ჩეკას“ განზრახვას და როცა ღამით, რუსის ჯარის ნაწილი თავს დაესხა ციხეს, სიბნელეში გაისმა ხმა რუსის ოფიცრისა:



„რუსეთის კომუნისტური პარტიის და კომინტერის სახელით გიბრძანებთ: გამოხვიდეთ ვისაც მისჯილი გაქვთ გადასახლება!“ — ნოეს წინასწარ ჰქონდა დავალებული და საკანიდან უპასუხა: „ჩვენ არ ვცნობილობთ არც თქვენს პარტიას, და არც კომინტერს! დაუყონებლივ გაიყვანეთ თქვენი ჯარი!“.. ჩვენმა მკითხველმა შედეგი იცის; მოსკოვის ერთ-ერთ სადგურზე, 62 პოლიტიკურ ტყვეს, ევროპაში გადმოსახლება მისჯილთ, „ჩეკამ მოტყუილება მოუხდომა; დაპირებისამებრ უცხოეთში გამოგზავნის მაგიერ, „ბუტირკის“ ციხეში გადაყვანა გამოუცხადა. აქაც გამოჩნდა ნოეს გმირული სული და გამბედაობა. კრემლის წარმომადგენელს განუცხადა: „თქვენ შეგიძლიათ ხიშტებზე აგვაგოთ, — ცოცხლებს აქედან ვერ გაგვიყვანთ!“

უცხოეთში, სხვებთან ერთად აღმართა მან ბრძოლის დროსა ქართველი ერის სუვერენული უფლებების დასაცავად, მიტაცებული თავისუფლების აღსადგენად.

უმთავრესი მუშაობა მას მოუხდა ჩაგრულ ერების წარმომადგენელებთან; მათ სცადეს გამოენახათ საერთო ენა მპყრობელ ერის ანტიკომუნისტურ ძალებთან. აქ ნოე იყო უკომპრომისო დამცველი ქართველი ერის უფლებებისა მაშინდელმა რუსულ ანტიკომუნისტურმა ძალებმა მოისურვეს, რასაკვირველია, მცირე ერებთან ერთად, ერთს ფრონტში ჩადგომა, მაგრამ გამარჯვების შემდეგ, დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილის გამოთქმაში, გამოდგნენ ძუნწნი და უპირობონი...

ხოე ცინცადემ პრესის საშუალებით გასცა მათ შესაფერისი პასუხი და თავი მიანება. კარგი საქმე კეთდებოდა. რუსების მხრიდან იგი იქნა ჩაშლილი; მათში გილვიძა დიდი რუსეთის სულმა.

ნოემ თავისი ძლიერი ენერჯია გადაიტანა ჩაგრულ ერებში სამუშაოდ; გახდა მათი ხელმძღვანელ ორგანოს თავმჯდომარე. ყველანი მას მისჩერებოდნენ, მისგან მოითხოვდნენ რთული და მძიმე საკითხების გარკვევას, რისთვისაც მას შველოდა ცოდნა და გამოცდილება, ყველასაგან შემჩნეული ნიჭი განგებისაგან ბოძებული, თავისებური ხასიათი მას მატებდა ენერჯიას, დაუცხრომელ შრომის უნარს.

ნოე ცინცაძე შეუერთდა იმ თავის თანანებრძოლ მეგობრებს და მეთაურებს, რომლებმაც მხრებით ატარეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ღრო დადგება, თავისუფალ სამშობლოს შვილები ჩამოვლენ, მოინახულებენ უცხოეთში ძმათა სასაფლაოს, თავს მოიხრიან; მაღლობის გრძნობით დახედავენ საქართველოს უფლებების დამცველთა მებრძოლ მოღვაწეთა და ცხადია ნოე ცინცაძის საფლავს...

### ნოე ცინცაძის დასაფლავება

29 სექტემბერს, სოფელ ლევილის ეკლესიაში თავი მოიყარა დიდძალმა ქართველობამ. მიცვალებულს წესი აუგო მამაო ილიამ, მანვე პირველი გრძნობიერი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა. სიტყვები წარმოსთქვეს: სათვ. თავმჯდომარემ ვ. ხომერიკმა, მიხ. ხუნდაძემ, — ფრანგულად: პ. სარჯველაძემ და ბ-ნ შ. კალანდაძემ — ქართულად. რის შემდეგ სამგლოვიარო პროცესია მიემართება ძმათა სასაფლაოსაკენ. სამარესთან, მამაო ილია მოკლე პანაშვიდს უხდის და ძვირფასი ადამიანის კუბო, ნელნელა ეშვება: — ისმის ეროვნული ჰიმნი.

დამწუხრებული საზოგადოება ეთხოვება ნოე ცინცაძის ახლად გათხრილ საფლავს და დამწუხრებული ტოვებს ძმათა სასაფლაოს.

მიღებული იქნა დებეშები: უკრაინის რადის თავმჯდომარის ბ-ნ ლევიცკის. ლეონტის, — რადის წევრის. ვლ. ბოტნიკ, ბელორუსიის მთავრობის წარმომადგენელი პრ. რიხ. პაიპსის. პრ. ბრაინტის, — ჰარვარდის უნივერსიტეტის დირექტორი. პრ. ავტარხანოვი — პარიზის ბლოკის სახელით და მისი ქართველი მეგობრებისაგან.

კუბო გვირგვინებით შეამკეს: საფრენგეთის ქართველთა სათვისტომომ, ეროვნულ საბჭომ, მიუნხენის რადიოს ქართულმა რედაქციამ, მიუნხენის ქართველთა სათვისტომომ, საქ. სოციალ-დემოკრ. პარტიამ, სოშოს სათვისტომომ და ლევილის ქართველობამ.



## მსოფლიო ქარცეცხლში

საბჭოთა ყოველდღიური პრესა ხალხს კვებავს საერთა-შორისო მოვლენების დამახინჯებულ კომენტარებით, „ჩვენი დროში“, შეძლებისადაგვარად, ცდილობს მიაწოდოს ქართველ მკითხველს სწორი ცნობები უმთავრეს პოლიტიკურ მოვლენებზე; გააშუქოს ეს მოვლენები ჩვენი ეროვნული ბრძოლის თავისუფალ ჩარჩოში. დღევანდელ დაძაბულობის ხანაში, ქართველობას ყველაზე უფრო ესაჭიროება სწორი ინფორმაცია.

ლენინ-ტროცკის არ გაუმართლდა დასავლეთში სოციალური რევოლუციის მოხდენა. თუ პირველ ომმა გააჩინა ეკონომიური მდგომარეობა, დასავლეთის მშრომელი მასები აცდნენ იმ უკიდურეს ილუზიებს, რომლებმაც რუსის ხალხი ჩააგდო პოლიტიკურ - ეკონომიურ მონობაში.

სტალინი უფრო რეალისტი გამოდგა; მან თავიდან მოიშორა ტროცკი; შეუდგა ლენინის ანდერძის შესრულებას; ჯერ თვით ლენინის დახმარებით და მითითებით გზა გაიკაფა სამხრეთისაკენ და ხმელთაშუა ზღვაში გავიდა, აუსრულა რუსის მეფეებს სურვილი, რამაც წარმოშვა პერსპექტივები შემდგომი დაპყრობისათვის.

როგორც ვხედავთ, ევროპის გარშემოვლა წილად ხვდა ბრეტენეს და მის შტაბს, და ამ უკანასკნელს არ დავიწყებია ლენინის ანდერძი: „ვინც აფრიკას დაეპატრონება—ევროპაც მისიაო“. და აი, რაც დღეს ხდება ჩვენს გარშემო, ნათლად გამოხატავს მოსკოვისაგან დასახულ მიზნებს.

იქ, სადაც ოდნავ გავლენა აქვს დასავლეთის ქვეყნებს მოსკოვი ათასობით აგზავნის თავის აგენტებს ტექნიკური ძალების სახით, რომლებიც ადგილობრივად რაზმავენ მცხოვრებთა იმ ნაწილს რომელიც უკმაყოფილოა და ცდილობს დაამხოს იქ არსებული წყობილება და დაამყაროს ლენინიზმის მართველობა, დანერგოს და გაამავროს მოსკოვის პოლიტიკური გავლენა. ანგოლა, ზამბია, აბესინია მან კუბის ჯარების სათარეშოდ გახადა.

თუმცა, — მოსკოვს ბედი არ წყალობს; ახლო აღმოსავლეთში მისი პოზიცია საგრძნობლად შეირყა, ეგვიპტემ გააძევა მოსკოვის აგენტები თავის ტერიტორიიდან, რის შემდეგ, როცა ეგვიპტეს პრეზიდენტმა გადადგა გაბედული ნაბიჯი და ისრაელში ჩავიდა მშვიდობიანობის დამყარების მიზნით, მთელმა მსოფლიომ მიესალმა ამ ნაბიჯს მოსკოვის გარდა, რადგან ამ უკანასკნელის ანგარიშში არ შედის დამყარდეს სიწყნარე ამ მხარეში. ეგვიპტიდან გაძევების შემდეგ მან დაჰკარგა ახლო აღმოსავლეთში ყოველგვარი გავლენა.

უკანასკნელად, ანგოლიდან მან შეუსია კუბის ჯარები ზაირის იმ კუთხეს, რომელიც მდიდარია უხვი მადნეულობით. ეს მისი შესევა დამარცხდა და მოსკოვი მიიმალა. აქტიური მოქმედება მან აფრიკის სხვა ქვეყნებში გადაიტანა; მოსკოვი ევროპის მიმართ ფრთხილს, მაგრამ ეფექტიურ შეტევას აწარმოებს; აძლიერებს ჯარების რიცხვს მის საზღვრებზე.



შორეულ აღმოსავლეთის პრობლემა რთული და მრავალმხრივ თავსატეხია მოსკოვისათვის.

ჩინეთის განზრახვაში, მარტო დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება კი არ შედის, მათი დავა გასცილდა მათ ტერიტორიალურ საკითხს და გადაიქცა ამ ორი წითელი იმპერიის აშკარა ქიშპობად, — მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში საკუთარი ჰეგემონიის მოსაპოვებლად.

ფრიად დამახასიათებელია მოსკოვის უქმაცოფილება იაპონიის მიერ ჩინეთთან მეგობრული კავშირის დამყარების გამო. მას ანერვეულებს შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთ-იაპონიის დაახლოვება.

მრავალი ფაქტორები გვიჩვენებენ, რომ ჩინეთი გადავიდა აფრიკაში შეტევაზე; ისიც ათასობით აგზავნის თავის „ტენნიკურ“ ძალებს და აძლიერებს იქ ანტირუსულ პროპაგანდას.

ამავე დროს ჩინეთი აწარმოებს აქტიურ დიპლომატიურ ნუშობას, პროპაგანდას, საზოგადოებრივ აზრის მისამხრობად.

მოსკოვი ყველაზე უკეთ ხედავს, რომ როგორც იაპონია-ჩინეთის, ისე ევროპის უკან სდგას ამერიკა, რომლისაგან თვით რუსეთი დამოკიდებულია საკუთარ მცხოვრებთა გამოსაკვებად...

მსოფლიოს ასე აფორიაქება, არც ისე შორეულ მომავალში ქმნის საბედისწერო პერსპექტივებს, როგორც ყველა ერებისათვის და განსაკუთრებით მცირე ერებისათვის, რომლებიც იბრძვიან ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად.

პოლიტიკურად და კულტურულად ამაღლებულ ერს, როგორც ჩვენი ერია არ გამოადგება ბრძოლის მეცხრამეტე საუკუნის მეთოდი; ბომბებისა და ბომბინების ბათქაბთუქი. მას არ გამოადგება არც აზია-აფრიკის, ზოგიერთი ერის დღევანდელი ბრძოლის მსგავსი საშუალებები.

მათ მართებთ მრავალჯერ დაფიქრება, აწონდაწონა, მოვლენათა სწორად შეფასება, რათა არ გახდნენ მსხვერპლნი დივერსანტულ პროვოკაციულ პოლიტიკისა მპყრობელ სახელმწიფოს მართველობისაგან, რომელსაც შეუძლია შექმნილ მდგომარეობით ისარგებლოს, სავსებით ჩააქროს მასში წინააღმდეგობის ჩანასახი და შეაჩეროს ეროვნული მაჯისცემა.



ჩვენს განზრახვაში არ შედის ახლად წარმოშობილი განმანთავისუფლებელი მოძრაობის, ე. წ. დისიდენტების მოღვაწეობის კრიტიკა. ჩვენ მას ვსთვლით, როგორც რუსეთის მომავალ მართველობის წინამორბედად. რამდენად ჩვენ დიდის ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ამ მოძრაობას, და აგრეთვე ჩვენი ცნობით, ქართველი ხალხიც, — ვრწმუნდებით, ის თანდათანობით გაძლიერდება და ჩაითრევს რუსის ფართე მასებს.

მათ არალეგალურ გამოცემებში ვკითხულობთ საჩივრებს მიყრუებულ კუთხეებიდან, ქარხნებიდან, აღწერენ თავიანთ უმწუო მდგომარეობას უუფლებლობას, და ხელს აწერენ; თავიანთ ვინაობას და მისამართს არ მალავენ, არ თხოვილობენ პატიებას სასამართლოში. მაშასადამე, მოქალაქეობრივი შეგნება და გაბედულება ხალხს უბ.

რუნდება, რაც უდიდესი ფაქტორია; რაც აქნობამდე არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ რუსულ დისიდენტურ მოძრაობას ხელმძღვანელობენ ის ძალები, რომლებსაც პრივილეგიურ მდგომარეობაში შეეძლოთ ეცხოვრათ. მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო; რუსეთის დიდ ერში გამოჩნდა ინტელექტუალური, პატრიოტული ძალები, რომლებმაც ველარ აიტანეს ამდენი უსამართლობა, ხალხის უმოწყალოდ ჟღერა ათეული წლების მანძილზე სოციალ - პოლიტიკური ჩაგვრა. დისიდენტებმა ჯოჯოხეთურ პირობებში აირჩიეს მიზანშეწონილი ბრძოლის ტაქტიკა; მათ მოითხოვეს კრემლისაგან დაწერილი კონსტიტუციის განხორციელება. საბჭოთა მთავრობამ უპასუხა რეპრესიების გაძლიერებით. უცხოელის თვალის ასახვევად, ბრეჟნევემა ხელი მოაწერა ჰელსინკიში ადამიანის უფლებათა აღიარებას, — შინ დაბრუნებულმა, ეს ხელისმოწერა ფარატიანა ქალაქიდან აქცია. და ერთხელ კიდევ დაანახა მსოფლიოს, რომ მოსკოვის ხელმოწერას არავითარი ფასი არა აქვს. . .

ბევრი ხელმძღვანელი გაძევებული იქნა უცხოეთში. განდევნილ დისიდენტებმა ბრძოლა უცხოეთში გადაიტანეს; მათ აქვთ სულიერი, და უნდა ვიგულისხმოთ, ორგანიზაციული კავშირი ადგილობრივ მებრძოლ ძალებთან. მათი მიზანი ერთია: დღევანდელი დიქტატურის დამხობა და მის ადგილას ნორმალური, უფლებრივი სახელმწიფოს დაფუძნება. უცხოეთში დაძაბულ ყურადღებას იწვევს რუსეთში დაწყებული მოძრაობა. მათ შექმნეს ვებერთელა ანტი-კომუნისტური, პოლიტიკური ლიტერატურა, და ჩვენ აქა გვსურს, ჩვენი გულისტკივილით და კეთილი განზრახვით მოვახსენოთ მათ, რომელთა თავდადებულ ბრძოლას ქართველი დიდის სიმპატიით და იმედით თვალყურს ადევნებს:

დღეს, საბჭოთა კავშირში აგორებული ტალღები ემთხვევა ქართველების სურვილებს: აღიდგინოს თავისუფლება.

ცნობილ რუს დისიდენტებმა ყველაზე უკეთ უწყიან თუ რა მოელის რუსეთს მომავალში თუ დარჩა ძალით შეიკოწიწებულ იმპერიას; ისტორია რუსეთის ხალხს დააკისრებს რომ მან დათესა სიძულვილი ერთა შორის; მას დაატყდება

რისხვა და კრულვა განთავისუფლებულ ცაივს. გავიხსენოთ ჰიტლერის მხეცური მოქმედება კაცობრიობის წინაშე; განახლებულმა გერმანიამ, თავისი პირველი ორი კანცლერის თაოსნობით, საქვეყნოთ დაჰგმო ჰიტლერის ჰეგემონიით თავდატეხილი უბედურება და თანაგრძნობა გამოუცხადა იმ ერებს, რომლებიც ნაცისტების რეჟიმმა უმოწყალოდ დაარბია, — განახლებული გერმანიის, პირველმა კანცლერმა ადენაუერმა გადაუხადა ისრაელს ნივთიერი ზარალი, რითაც დიდი დახმარება გაუწია მისი ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობას. მეორე კანცლერმა სოციალისტმა ბრანდმა, მუხლი მოიკეცა ვარშავაში, ჰიტლერის მიერ გაელეტილ პოლონელების წინაშე და პატიება ითხოვა გერმანიის სახელით; ამით მან ოდნავ ჩამორეცხა გერმანელ მომავალ თაობებს სირცხვილი ისტორიის წინაშე. . .

რუსეთს სჭირდება საქართველო, — ამ უკანასკნელსაც სჭირდება კეთილგანწყობილი მესაზღვრე რუსეთი და ამისათვის საჭიროა მათი მომავალი მეგობრული სახელმწიფოებრივი ურთიერთობა აქედანვე შემზადდეს.

კრემლს „ყველაზე მეტად აშინებს მცირე ერების მოძრაობა“-ო აღიარებდა, აწ გარდაცვლილი, ჰოეტი ვალიჩი, — ჩვენ ვიმედობთ აქედან შესაფერ დასკვნას გააკეთებს დისიდენტების ხელმძღვანელობა და საქვეყნოდ აღიარებს ერთა დამოუკიდებლობის უფლებებს; კერძოდ, საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ მცირე ერების ბრძოლას ხელს გაუწვდის.

ქართველი ხალხი უდიდესი პატივისცემით ეპყრობა ჩვენი ეპოქის, და ცხადია, რუსეთის საამაყო დიდ მწერალის სოლჟენიცინის პიროვნებას; მისი ნაწერები ხელიდან-ხელში გადადის; მხოლოდ გაკვირვებას გამოსთქვამენ, რომ ამ დიდმა ჰუმანისტმა არ მოისურვა ეთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა და მით გაემხნეებია ქართველი ხალხი, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი ძალების ბრძოლას; მოუმზადებდა ნიადაგს მომავალ მეგობრობას. თავისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება!

არასოდეს ისე არ ყოფილა ცხოველმყოფელი ლოზუნგი როგორც დღეს: „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის“.

\*\*\*

ირანში მომხდარი ამბები სამართლიანად იპყრობს დასაუღმის საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას.

ირანსა და საბჭოთა რუსეთს ჰყოფს 2500 კილომეტრი საზღვარი და ითვლება როგორც დემოკრატიულ ქვეყნებისაგან პირველ ფაქტორად კომუნისტური ექსპანსიის წინააღმდეგ და გასაგებია, რომ ამბოხების მეორე დღესვე, ამერიკის პრეზიდენტმა თანაგრძნობა გამოუცხადა შახს.

მომხდარი ამბების მიზეზი ღრმა არის და უმთავრესად, ადგილობრივ სოციალ - პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების პირობებიდანაა გამომდინარე.

ირანში ჯერ კიდევ მძლავრია ძველი ფეოდალური წესების ნაშთები; ქვეყანა კი, უაღრესად განვითარდა ტექნიკურად, გამდიდრდა ეკონომიურად; ბუნებრივმა სიმდიდრემ — ნავთის მფლობელობამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ამას მოჰყვა შახის მიერ ჩატარებული აგრარული რეფორმა.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო; შახის რეფორმებს აუჯანყდა რელიგიის ფანატიზმით აღესილი ფართე მასები. სარწმუნოების მეთაურებმა წამოაყენეს მოთხოვნა, რომ ქვეყანას უნდა განაგებდეს ისლამის კანონები.

აბსოლუტური მონარქიზმის წინააღმდეგ, ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალები, და რასაკვირველია კომუნისტური პარტიაც გადაუდგინენ შახს. მაშასადამე, ერთის მხრივ მასების ფანატიზმი, მეორეს მხრივ, შახის დიქტატურის წინააღმდეგი, ზომიერი პოლიტიკური ძალების დარაზმვა.

შახს შერჩა ჯარი, რომლის საშუალებით მან საშინელი რეპრესიით ჩააქრო აჯანყება. მაგრამ ამ რეპრესიულმა ზომებმა კიდევ უფრო ამოთხარეს ორმო ხალხთა და მონარქის შორის. რომ უკანასკნელს მოესურვებია მისი სოციალური რეფორმები გატარებულიყო ხალხის თანხმობით; რეჟიმის ლიბერალიზაციის შედეგად, მას არ გადაუდგებოდა აქნობამდე ლოიალურად განწყობილი პოლიტიკური ძალები.

ეს პოლიტიკური ძალები რომ დაეწყნარებია შახი ახლა გამოვიდა დაგვიანებული განცხადებით, რომ მას გა

დაწყვეტილი აქვს, მომავალ წლის გაზაფხულზე ხალხს მისცეს თავისუფალი არჩევნების უფლება. არ იქნება კი დაგვიანებული? ეს კითხვა ბუნებრივად ისმის. ფანატიკურად განწყობილი მასების მოძრაობას დაძაბული ყურადღებით თვალყურს ადევნებს მოსკოვი. ის ხომ არა თუ მეზობლის არეულ მდგომარეობას, სადღაც, შორეულ აფრიკაში ევლინება „დამამშვიდებლის“ როლში, რომ მეზობელი უყურადღებოდ დასტოვოს.

ჯერჯერობით, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში თითქოს სიწყინარე დამყარდა; მომავალი გვიჩვენებს თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

### პ. სარჯველაძე

## ჩინეთ — იაპონია

პეკინსა და ტოკიოს შეთანხმების ხელმოწერა აღნიშნეს, როგორც ისტორიული მოვლენა.

არსებითად ეს შეთანხმება მართლაც არის ისტორიული ხასიათის მოვლენა. ეს არის ერთგვარი საწყისი, ან თუ გნებავთ, უვერტურა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიური გარდაქმნებისა. ეს შეთანხმება შედეგია ამ რეგიონის ორი მძლავრი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში მომხდარი თავისებრივი ცვლილებებისა.

ეს ორი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და იაპონია ადრე, სხვადასხვა მიზეზებითა და სხვადასხვა ფორმებში ფრიად პასიურნი იყვნენ გარე სამყაროსთან თავიანთი ურთიერთობათა თვალსაზრისით. ამჟამად კი ადგანან უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების ხაზს, რაც ცხადია, მთლიანად შეესაბამება კიდევ მათ ხვედრითი წონას მსოფლიოში.

შეთანხმების მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართოა ვიდრე საკუთრივ იაპონია-ჩინეთის ურთიერთობები. ეს კარგად ესმით მსოფლიოში და, რა თქმა უნდა მოსკოვშიც. მტკიცება იმის შესახებ, რომ შეთანხმების დადება იაპონიასთან წარმოადგენს ჩინეთისათვის დიდ პოლიტიკურ გა-

მარჯვენას და შესაბამისად, პოლიტიკურ მარცხს საბჭო-  
 თა კავშირისათვის, გამოქვეყნდა მსოფლიოს ყველა გაზე-  
 თების ფურცლებზე, გარდა საბჭოთა კავშირისა და აღმო-  
 საველეთ ევროპის ქვეყნებისა, თუმცა საბჭოთა ხელმძღ-  
 ვანელობას, ცხადია კარგად ესმის რამდენად საფუძვლი-  
 ნია ასეთი მტკიცება. მეორე საკითხია — ესმის თუ არა  
 მათ ის, რომ იაპონია - ჩინეთის შეთანხმების მიღწევა წარ-  
 მოადგენს არა იმდენად პეკინის ბრწყინვალე დიპლომა-  
 ტიის შედეგს, რამდენად მოსკოვის უნიჭო დიპლომატიის  
 მაჩვენებელს?

ცნობილია რომ, რამოდენიმე წლის მანძილზე, იაპონიის  
 მთავრობა ესწრაფვიდა ერთდროული შეთანხმების მიღ-  
 წევას ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან. ოთხი წლის მან-  
 ძილზე იაპონიას არ სურდა რა ურთიერთობათა გამწვავე-  
 ბა მოსკოვთან, წინაღმდეგობას უწევდა პეკინის ცდებს,—  
 შეტანილი ყოფილიყო შეთანხმებაში მუხლი „ჰეგემონიის“  
 საკითხზე. მიმდინარე წლის თებერვალში, როდესაც, ია-  
 პონია-ჩინეთის შეთანხმებები უიმედო ჩიხში იყო მოქცე-  
 ული, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი სონოდა ეწე-  
 ვია მოსკოვს, „სადაც კიდევ ერთხელ სცადა დაეძრა მკვდა-  
 რი წერტილიდან მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირთან  
 სამშვიდობო შეთანხმების-დადების საკითხზე. პასუხად, —  
 წააწყდა საბჭოთა ხელმძღვანელობის ყრუ უკომპრომისო-  
 ბას; კრემლმა უარი თქვა განეხილა იაპონიის მოთხოვნა  
 მისთვის კურილის ოთხი კუნძულის დაბრუნების შესახებ.  
 მიმდინარე წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე, საბჭოთა  
 კავშირი მუქარის ნოტებითა და დემონსტრაციული სამ-  
 ხედრო მანევრებით უკდილობდა დაწოლის მოხდენას იაპო-  
 ნიაზე, რათა მას უარი ეთქვა მოლაპარაკებათა ახალ რა-  
 უნდზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ასეთ ვითარებაში, იაპონიის ხელმძღვანელობამ გამოამ-  
 ელავნა მოულოდნელი სიმტკიცე და მშვიდად დასტოვა რა  
 უპასუხოდ საბჭოთა მუქარები, დაადგა ჩინეთთან მოლაპა-  
 რაკებების განახლების გზას. შეთანხმების მიღწევის შემ-  
 დევ მოსკოვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა  
 შესცვალეს თავიანთი ტონი; მართალია მუქარები კვლავ  
 მოისმის, მაგრამ მთავარი აქცენტი გადატანილია იმაზე,

რომ აი, იაპონიამ ქედი მოიხარა ჩინეთის წინაშე. ლაპარაკია შეთანხმების მეორე მუხლზე, რომელშიც ჩინეთის დაჟინებით მოთხოვნით, ნათქვამია რომ ორივე ქვეყანა ვალდებულია გამოვიდეს — აზიასა და წყნარი ოკეანის რაიონში რომელიმე მესამე ქვეყნის ჰეგემონიის მცდელობის წინააღმდეგ. ძნელად თუ შეიძლება ეს მიჩნეული იქნას, როგორც იაპონიის კაპიტულაცია ჩინეთის წინაშე.

რაც შეეხება იაპონიის საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას შეთანხმების ამ მუხლისა და მის მიმართ საბჭოთა რეაქციაზე, ამას კარგად გამოხატავდა ტოკიოს გაზეთი „ასახე ივინგ ნიუსი“, ამას წინათ, თავის მოწინავე სტატიისში, როდესაც ის წერდა: „თუ საბჭოთა კავშირი არ ესწრაფვის ჰეგემონიას დედამიწის ამ რაიონში, მაშინ რატომ უნდა ანერვიულობდეს მას ასეთი მუხლი იაპონია-ჩინეთის სამშვიდობო შეთანხმებაში““

ირ. გავაშელი

---

## არჩილ ჯორჯაძე

გარდაცვალებიდან 65 წლის შესრულების გამო.

შესრულდა 65 წელი ჩვენი ეროვნული ერთობის მოციქულის, დიდი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სოციალ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის თეორეტიკოსის არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებიდან. იგი გარდაიცვალა 1913 წელს.

არჩილ ჯორჯაძე ეკუთვნის დიდ ქართველთა ოჯახს, რითაც შეუძლია საქართველოს იამაყოს. ის დაიბადა 1872 წელს, ჩვენი ქვეყნის — საქართველოს დოვლათით სავსე კუთხეში — კახეთში. არჩილის ბავშვობა, სამწუხაროდ უბედო იყო; დედა ძალიან ადრე დაკარგა; ორი მისი საყვარელი და საშინელ პირობებში, ისიც მისი თვალწინ, დაელუპვნენ მდინარე წყალ-წითელაში.

არჩილს ჰქონდა ევროპული განათლება და იცოდა ევროპული მთავარი ენები. მან სერიოზულად შეისწავლა იურისპრუდენცია, ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება და

განსაკუთრებით კი სოციოლოგია და ეროვნული პრობლემა.

1901 წელს, არჩილი ბრუნდება ევროპიდან საქართველოში და იმავე წლის ზაფხულში, ის გაეცნო გაზეთ „ცნობის ფურცელი“-ს ხელმძღვანელს, დიდ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის მუდმივ თავმჯდომარეს, ნაციმბილარს და გაუტყველ მებრძოლს გიორგი ლასხიშვილს. არჩილს „ცნობის ფურცელში“ თანამშრომლობა არ შეუწყვეტია სიკვდილამდე.

1901 წელს, არჩილ ჯორჯაძემ დასწერა, ღრმა მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალული მოწოდება ქართველი ხალხისადმი; საქართველოს, ვითომდა თავის ნებით რუსეთთან შეერთების ზემის გამო, — სინამდვილეში, საქართველოს დაპყრობის ასწელთან დაკავშირებით.

1903 წელს, ის გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად ჩადის პარიზში. აქ მათ გამოუშვეს გაზეთი „საქართველო“ და ფრანგულ ენაზე „ლა ჟეორჟი“.

ხანგამოშვებით, ამ გაზეთში თანამშრომლობდნენ ნოე ჟორდანიას, თედო სახოკიას, ზურაბ ავალიშვილი, და მსოფლიო მასშტაბის ფრანგი გეოგრაფი ელიზე რეკლიუ, ფრანგი პოლ ფორი, პოლანდიელი ცნობილი ლიტერატორი გ. ბრანდესი და სხვები.

ხსენებულმა გაზეთმა პარიზში დაამუშავა ეროვნულ-სოციალური პროგრამული საკითხები, რაც საქართველოში სასტიკი ცენზურის გამო შეუძლებელი იყო.

1904 წელს, გაზეთ „სამშობლოს“ ინიციატივით, შვეიცარიაში მოეწყო ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა კონფერენცია, სადაც არჩილ ჯორჯაძე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით ეროვნულ და აგრარულ საკითხებზე.

1905 წელს, არჩილი გაბრუნდა საქართველოში და გარდაცვალებამდე იქ ცხოვრობდა. არჩილი იყო დაავადებული ქლექით და მიუხედავად ამისა იგი გატაცებით ემსახურებოდა ქართველი ერის ინტერესებს. მან, მთელი ქართველი ერის ცხოვრების სულიერი და მატერიალური მხარე გააშუქა. არჩილმა დაგვიტოვა ექვსტომიანი თხუთულება, სადაც სიღინჯით, როგორც მას აღნიშნავს ვანსენებული საზოგადო მოღვაწე მარკოზ ტულუში: „მეც-

ნიერული დასაბუთებით გარკვეულია ყველა დიდი და პატარა ყოველდღიური და მარადიული: ხასიათის საკითხები; და ეს ნაწერები ქართველი ხალხის სულიერი, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დაცვასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული“.

არჩილ ჯორჯაძე თავის სოციალური მსოფლმხედველობით სოციალისტი იყო, ეროვნული სოციალისტი, მაგრამ სოციალიზმი ქართველი ერის კეთილდღეობისათვის უნდოდა; ამიტომ იგი სოციალიზმისაკენ ეროვნული გზით მიდიოდა, როგორც ეროვნული სოციალისტი.

ამგვარად, პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა სულ ახალი მიმართულება, მიმართულება რომლის დროშაზე ეწერა: ეროვნული სოციალიზმი. მაშასადამე, არჩილ ჯორჯაძე ქადაგებდა ეროვნულ სოციალიზმს ჩასახულს ქართველი ერის წიაღში, შეგუებულს ქართულ ეროვნულ პირობებთან, მის ისტორიულ წარსულთან, მის ეროვნულ მეურნეობის აღორძინებასთან. მაგრამ არჩილ ჯორჯაძის ეროვნული სოციალიზმი არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი, ან ფაშიზმი იტალიაში.

არჩილის კალამი შეეხო აგრეთვე მიწის პრობლემას. იგი მიწის განსაზოგადოებას ქადაგებდა, მაგრამ ამ საშუალებით მას უნდოდა მიწის გამოტაცება ხელიდან უცხო ჩარჩ-ვაჭრებიდან, რომლებიც ეუფლებოდნენ ამავე დროს სოფელსაც. მიწა კიდევ მთავარია ჩვენი ეროვნული კეთილდღეობისათვის, რადგან ამ მიწაზე მომუშავე მესაკუთრე გლეხი, წვრილი მესაკუთრეა იგი თუ მსხვილი, ჩვენი ეროვნული მეობის ქვაკუთხედი. არჩილ ჯორჯაძე მომხრე იყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა საქართველოში, მაგრამ მას უნდოდა ქართული მრეწველობისა და ვაჭრობის გაშლა, მას უნდოდა ამით ეროვნული დოვლათის თავმოყრა ქართველ წარმართავთა ხელში, რაც ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას.

მაინც უმთავრესი არჩილის მოძღვრებაში არის პიროვნებისა და ერის თავისუფლება, შემდეგ ამ თავისუფალი ერის გაერთიანება თავისუფალ ერთა კავშირში, არა ზე-

ვიდან კარნახით, არამედ ეს ფედერაცია უნდა წარმომდგარიყო თვითთელი ერის ნებასურვილიდან.

არჩილ ჯორჯაძე გვასწავლის: სოლიდარობის გრძნობა იზადება იქ, სადაც თანაბარი უფლებიანობა და პატივისცემა სუფევს პიროვნებათა შორის, სულერთია ეროვნულია იგი პიროვნება თუ კერძო. ერს რომელსაც თავისთავისა არა სწამს, არა, სხვისი წყალობის იმედი ნუ ექნებაო.

ქართველი ერი ჩაგრული ერი იყო, ხოლო ჩაგრულმა ერმა, — გვასწავლის არჩილ ჯორჯაძის უკვდავი მოძღვრება — თვითონ უნდა დაიცვას თავისი პიროვნება და თავისი სიმტკიცით დაიმსახუროს სხვისი პატივისცემა, რაც შეეხება ერთაშორის სოლიდარობას, ეს კი აუცილებელია თავისუფალ ერთა ცხოვრებისათვის. სოლიდარობა თანასწორუფლებიანთა შორის არის მცეს ქლებელიო.

არჩილ ჯორჯაძე დიდი ილიას მემკვიდრეა ეროვნული მეობის საკითხში. აი რას ამბობს ამის შესახებ ცნობილი ლიტერატორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი პაპავა: „ქეშმარიტად ქართველ კაცს დღეს, ჰმართებს მორიდებით თავის დახრა და ტრადიციული ქართული მადლობა, ჩვენი ერის საკურთხეველზე ადრე დამწვარი ადამიანისადმი. ნურც მიკერძობით, ნურც უცნაური გადამეტებით გამიგებენ ამ პარალელს, მაგრამ ილიას ბედი, ვით პრაქტიკული მოღვაწისა, საქართველოს დიდი მოჭირნახულისა მრავალგვარად ჰქონდა ათვისებული არჩილ ჯორჯაძესაც, მხოლოდ მას აკლდა ილიას ჯანი, გამძლეობა, გამწეობა და ილიას წლები, რომ დიდი ილიას ანდერძი ერის გამრთელებისა და გამოფხიზლებისათვის არჩილს სახელმძღვანელოდ გაეხადა. — ეს იყო, ილიას ენით რომ ვთქვათ: „ჩვენი დაცემული ვინაობის“ აღსადგენ-გასამრთელებლად ყოველდღიურად ზრუნვა საჭირობოროტო კითხვებზე: ქართული კულტურისა, მისი ეთიკის, სოციალური ვითარების, ეროვნული თვითშემეცნების, მწერლობის, სოციალური ვითარების, მუსიკის, ლიტერა-



30284

ტურის, ეკლესიისაც, თუ გნებავთ, და ყოველდღიური ჭირვარამის კითხვებზე. . . ამ რთული და მძიმე მოვალეობას თავიდანვე იღია ასრულებდა, და მის შემდეგ, თუმცა ხანმოკლდ, მაგრამ სინიდისიერად და მხნედ ჩასჭიდა მას ხელი არჩილმა“.

ეროვნული მთლიანობის და ერთობის იდეის წყარო იყო მისი უსაზღვრო და უძირო სიყვარული დაცემულ და უფლებაყრილ ერისადმი. ტერიტორია, მიწა, ეროვნული ვინაობის შეგნება; ამას შეაღია მან ყველაფერი. სოციალურ საკითხებს არჩილი დიდ ადგილს უთმობდა, მაგრამ მისი აზრით პრიმატობა მუდამ ეროვნულს ეკუთვნის და თუ ქართველობა გაჰქრა ვილასათვის გვინდა ეს საკაცობრიო, და მალალი იდეების მიღწევებიო?

ქართული ენის დაცვა როგორც ეროვნული მეობის ბურჯისა; ქართული მიწის ქართველი მიწის მუშისათვის გადაცემა კერძო საკუთრებად, ქართული ეპქრობა-მრეწველობის შექმნა და ქართული ეროვნული მეურნეობის ქართველთა ხალში შერჩენა.

კაკეასიის თავისუფალი ერთა კონფედერაცია, რის მაგალითად მას მოჰყავდა შვეიცარია. აი რისთვის იბრძოდა ასე თავგამოდებით ჩვენი ეროვნული ერთობის და მეობის მოციქული არჩილ ჯორჯაძე.

არჩილ ჯორჯაძის დ მისი მომდევნო თაობა მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას 1918 წელს, მან ვერ შესძლო ენახა თავისი ბრძოლის ნაყოფი.

დღეს, მისი გარდაცვალებიდან 65 წლისთავზე ვიგონებთ ამ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის იდეას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

საქართველო 1918 წლის მაისის 26-ს აღსდგა მკვდრეთით, მაგრამ მოკლე იყო დამოუკიდებლობით მიღებული ერის ბედნერება. იგი კვლავ დაიმარხა 1921 წლის წყეულ თებერვალს; შეწყდა ერის ისტორიის მოკლე, მაგრამ ბედნიერი თარიღი.

არჩილ ჯორჯაძე აღარ არის, მისი იდეა ხომ უკვდავია.

**მინდია ლაშაური.**

## ა გ ვ ი ს ტ ო ს დღე.

ავვისტოს აჯანყების მოსაგონარი დღე ჩატარებული იქნა განსაკუთრებული შინაარსით.

17 სექ. ლევილის ეკლესიაში წირვის, და შემდეგ ძმათა სასაფლაოზე, მამო ილიამ გადაიხადა პანაშვიდი დალუპულ ქართველთა სულის მოსახსენებლად.

„შატოს“ შენობის დარბაზში ქართულ სუფრას ხელმძღვანელობდა სათვისტომოს თავმჯდომარე ვიქტორ ხომერიკი რომელმაც დამსწრეთ მიმართა, ამ დღის შესაფერ სიტყვით, რომელიც ქვემოდ იბეჭდება. დასწრე მრავალრიცხოვანი საზოგადოება, ფეხზე ადგომით ასრულებს ეროვნულ ჰიმნს „დიდებას“.

ხალხი დიდი ყურადღებით უსმენს ბ-ნ ჯემალიანს,— ჩვენი ერის დიდ მეგობარს, რომელიც თავის ვრცელ სიტყვაში იგონებს კავკასიის ერებისაგან, წარსულში დაშვებულ შეცდომებს, რომელიც არ უნდა განმეორდესო. კავკასიის ერების ხსნა არის მათ მთლიანობაში, მათ მჭიდრო კავშირშიო. აჯანყების მონაწილე პროკოფი ინწვირველი იგონებს ბრძოლის ზოგიერთ ეპიზოდებს.

უკანასკნელად სიტყვას იღებს ლევან ფალავა, რომლია პათეთური გრძნობებით და შინაარსით აღსაყვ სიტყვა იწვევს საერთო აღელვებას და მხურვალე ტაშისცემას.

დასასრულს მომღერალთა გუნდი ასრულებს სიმღერას, რომელიც მიძღვნილია აჯანყებაში დალუპულ გმირთა ხსოვნისადმი.

### სიტყვა წარმოთქმული სათვისტომოს თავმჯდომარის ვიქტორ ხომერიკის მიერ.

1924 წლის 29 ავვისტოს, დატრიალდა ქართველი ერის ტრადედია, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც თავდადებისა და გმირობის დაუფიწყარი თარიღი. ამ დღეს პატარა ერი უშიშრად დაეტაკა უძლიერეს სახელმწიფოს, ჩვენი ერის დამპყრობელს; რეპრესიებმა, შეურაცყოფამ, უსამართლობამ და ადამიანის ღირსების წაბილწვამ, ქართველი ხალხი აიძულა უკიდურეს თავგანწირულებით სათვის მიემართა — ხელში იარაღი აეღო.

ავვისტოს აჯანყებით, ქართველმა ხალხმა თავისი სისხლით დასწერა თავის ცხოვრების ფურცლებზე, რომ მას

სურს იყოს თავისი თავის პატრონი, თავისი ქვეყნის ბატონი.

დღიდან რუსეთის შემოსევისა, სულიერი წინააღმდეგობა ქართველი ხალხისა ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა; ხალხმა დაინახა მტრის შემოსევის საშინელება და მისი შედეგები: ამოძრავდა მთელი ხალხი, ამ ბრძოლაში ჩაება და გაერთიანდა მთელი ერი.

ისტორია არ დაივიწყებს თავდადებულთა გმირულ ბრძოლებს! აჯანყება დამარცხდა, — დაამარცხა რეგულიარულმა რუსულ ჯარმა, მტერი უკიდურესი ვერაგობით დაერია დამარცხებულ ერს, მაგრამ მიუხედავად რეპრესიებისა; მასიური ჟლეტისა და უმანკო სისხლის მდინარეებისა, მან ვერ შესძლო ჩვენი ხალხის მორალურად დამხობა და დაჩოქება; ერის სულიერი წინააღმდეგობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მორალური სიმტკიცის ცხოველყოფილი სხივები თაობიდან თაობებზე გადადიოდა და ვითარდებოდა, თუ დრო და ჟამთა ვითარებაში. ეს წინააღმდეგობა სხვადასხვა ხასიათს ღებულობდა, მას ამოძრავებდა ერთი და იგივე რწმენა და გადაწყვეტილება; ჩვენი სამშობლოს მეობის შენარჩუნება, ჩვენი სამშობლოს თავისუფლება. — ამის დამამტკიცებელია ჩვენი ხალხის მტკიცე გამოსვლა უკანასკნელ აპრილის დღეებში, როდესაც ის გაილაშქრა ერთსულოვნად, მიუხედავად ყოველგვარ საშიშროებისა, დაზავებულ შეიარაღებულ ძალებისა, ასე მედგრად და შესანიშნავად დაიკვა მისი ერობის უძვირფასესი საუნჯე, მისი მშობლიური ენა.

ამ ეროვნული გლოვის დღეს, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ის შეუპოვარი სიმტკიცე ხასიათისა, რომელიც ჩვენ ერს, არაერთხელ გამოუჩენია როგორც ეხლა ისე წარსულში, თავდება იმის რომ, როცა დრო დადგება, ქართველი ხალხი, სხვა მის ბედში მყოფ ერებთან ერთად, მოიპოვებს იმ თავისუფლებას, რომელსაც ის ასე ერტვის.

უკვდავია ის ერი, რომელმაც წარმოშვა ათასობით ასეთი თავგანწირული გმირები!

დიდება მათ გმირობას! დიდება მათ ხსოვნას!  
 დიდება ქართველ ერს!

## პავლე სარჯველაძეს შესურულდა 80 წელი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო, პარიზის ს-დ. პ. კომიტეტი, სოფოს სოციალ-დემ. პ. ორგანიზაცია, „ჩვენი დროშას“ რედაქცია და მეგობრები ულოცავენ ამხ. პავლეს, მისი დაბადების ოთხმოც წლისთავს და უსურვებენ გაჯანმრთელებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

მიუხედავად ხანდაზმულობისა და ავადმყოფობისა, პავლე სარჯველაძე კვლავინდებურად განაგრძობს დიდ საპასუხისმგებლო მუშაობას.

საქ. ს-დ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს და ორგანიზაციების მონდობილებით

**მ. ბერიშვილი.**

---

## ცნობები სამოგზაოდაც

სამშობლოდან მიღებული ცნობა ფრიად საყუყრადღებო და მრავალმხრივ გამამხნეველებელია; ქართული ენის დასაცავად გამოვიდა არა ერთი თუ ორი კალმოსანი, არამედ მთელი ხალხი და ახალგაზრდობა. გამოსვლა იყო სპონტანიური, მას არ ქონებია შეთქმულების ჩანასახი, ის იყო გულის სიღრმიდან ამონახეთქი მშობლიური ენის სიყვარულით აღფრთოვანებული.

ქართველის გულმა იგრძნო საშიშროება; მან არ დაერიდა მოსალოდნელ რეპრესიებს. მისთვის სხვა არჩევანი არ იყო ვიდრე შეიდობიანი მანიფესტაცია, ზელისუფლებისაგან დაწერილ კანონის შესრულების მოთხოვნა, რაც მოსკოვისაგან აღდგენილ იქნა.

ჩვენ არავითარი ილუზიებით არ ვიკვებებით და კარგად ვიცით თუ როგორ გადავა იგი პრაქტიკაში, მაგრამ რაც მოხდა ისიც დიდი მორალური გამარჯვებაა ქართველი ერის, ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ვიმეორავთ, რომ მოსკოვის რუსიფიკატორული პოლიტიკა რთულია, მიხვეულ-მოხვეული გზით მავალი, მისი სასკოლო პოლიტიკის ცოცხალი ნიმუში, თვით ქართველ მწერალთა კავშირის კრებაზე იქნა გამოტანილი... .

„ჩაპარუსკება“ ხშირი მოვლენა იყო ჩვენში, რასაც თავიდანვე ჰგმობდა ჩვენი შეგნებული ინტელიგენცია. ენის დაცვა უნდა ხდებოდეს ყველგან: ოჯახში, პირად ურთიერთობაში. წერილობითი მიმართვაში. უნდა გაიდევნოს ხმარებიდან მპყრობელი ერის ენა. ნიშნავს ეს იმას, რომ არ ვიცოდეთ რუსული ენა? სრულებით არა! ის სწავლებაში უნდა შემოვიდეს, როცა მოზარდ თაობამ კარგად შეითვისა მშობლიური ენა. . . რუსულ ენას მეტა უფლება არ უნდა მიენიქოს ვინემ ეს აქვს რომელიმე დიდი ერის ენას.

რუსი დისიდენტების მოძრაობასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირში დაარსდა მუშათა პროფესონალური კავშირი. მისი დამაარსებელი და მეთაური კლებანოვი დაქვრივი და მოთავსებული იქნა ფსიქიატრულ „საავადმყოფოში“.

— იქიდან მიღებული ცნობების მიხედვით სამ ქართველს მიესაჯა სიკვდილით დასჯა. ესენი არიან: გაბრიელ სოფიაშვილი — სოხუმიდან (სამი შვილის მამა); რაფ. აძიაშვილი — თბილისიდან — (ოთხი შვილის მამა), ილია მიშალაშვილი — თბილისიდან — (ოთხი შვილის მამა). ამათ მიიღეს მონაწილეობა იმ გაფიცვებში სადაც ისინი მუშაობდნენ.

რამდენი ასეთი მუშა გამოასალმეს წუთისოფელს მარტო იმისათვის, რომ ისინი მოითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ასეთია მშრომელთა „დამცველი“ მთავრობა, მსოფლიოს მშრომელ ხალხს გაბედნიერებას რომ პირდება.

### რუსების სიძუნწი.

მე გაუგზავნე რუსულ ჟურნალს „რუსკაია მისლს“ წერილი ასეთი სათაურით: „რუსი დისიდენტები და ეროვნული მოძრაობა“, სადაც ვასაბუთებდი რუს ანტიკომუნისტურ ძალებთან ერთი მებრძოლი ფრონტის საჭიროებას.

„რუსკაია მისლის“ რედაქციამ ჩემს წერილს შეუცვალა სათაური, შეამცირა ის და ასე მიაწოდა თავის მკითხველს. (იხ. ამა თვის „რ. მ-ის“ ნომერი.

პ. ს.

## „კავკასიონის“ მოკიბი XIX ნომერი

აწ გარდაცვლილ ჩვენი სახელოვანი რუსთაველოლოგის ვ. ნოზაძის შემდეგ, ბევრს საეგებოთ მიაჩნდათ მის მიერ დაარსებული ჟურნალის „კავკასიონი“-ს გამოცემის გაგრძელება, მაგრამ შრომამ და საქმის სიყვარულმა, რაც გამოიჩინა ჩვენმა პოეტმა გიორგი ყიფიანმა, და რომელსაც დახმარებას უწევდნენ: ბბ. მიხეილ ქავთარაძე და გიორგი ნოზაძე, — ყველა დაბრკოლებები გადალახეს. ჟურნალის წინაარსმაც მოლოდინს გადააჭარბა: შიგ მოთავსებული მასალები ყოველმხრივ უპასუხებს მიმდინარე ეროვნული საქმის ვითარებას.

ჩვენი რედაქცია მხურვალედ ესალმება „კავკასიონი“-ს განახლებას და უსურვებს, როგორც ჩვენს პოეტს, ისე ჟურნალის გამომცემელს ბ-ნ აკაკი შავგულიძეს, შესძლებოდეთ კვლავ მისი გაგრძელება.

მოუწოდებთ საზოგადოებას ნივთიერად დაეხმარონ ამ კეთილ საქმეს.

### † დავით ურატაძე

მუნხენში მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა დავით ურატაძე, ნიჭიერი ჟურნალისტი, მებრძოლი პატრიოტი, ქართული საქმის ერთგული მსახური.

„ჩვენი დროშა“-ს რედაქცია გულწრფელ თანაგძნობას უცხადებს მის მეუღლეს ქ-ნ გულნარას და ნეგობრებს.

### † სიმონ აბაშიძე.

პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში, მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა სიმონ აბაშიძე.

დიდძალმა ქართველობამ დიდი პატივისცემით და მწუხარებით მიაცილა ეს დიდი ქართველი ლეგილის ძმათა სასაფლაოზე. გამოსათხოვარი სიტყვები უთხრეს: მამაო ილიამ და სათვისტომოს თავმჯდომარემ ვ. ხომერიკმა, რომელთაც აღნიშნეს ამ სახელოვანი ქართველი მეომრის

დიდად შინაარსიანი გმირული ბრძოლებას წარსული;  
მისი ადამიანური თვისებები ყოველმხრივ სრულყოფილი.

„ჩვენი დროშა“-ს რედაქცია. მთელ ქართველობასთან  
ერთად გლოვობს მის დაკარგვას.

— 12 ოქტომბერს, ლევილის ძმათა სასაფლაოზე,  
დასაფლავებული იქმნა დიმიტრი ალავიძე .

### ჩ ვ ე ნ ი უ რ ნ დ ი

კ. ინსარიძე	200 ფრ.
აკ. შავგულიძე	100
პრ. ინწკირველი	100
გრ. ბარამიძე	100
გერ. ბოლქვაძე	100
ე. ხომერიკი	100
გრ. კვარცხავა	100
სოშოს სათვისტომო	100
დ. ვაშაძე	100
აკ. ბარკალაია	100
ერ. ყავრელიშვილი	50
მ. ბერიშვილი	50
დ. დათიაშვილი	100

შესდგა კომისია, აქვს განზრახული ააგოს ძეგლი,  
რომელიც მიეძღვნება უკანასკნელ მსოფლიო ომში საქარ-  
თველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ  
მამულიშვილთა ხსოვნას.

სასურველია ყოველმა ქართველმა ემიგრანტმა მიიღოს  
მონაწილეობა; შეძლების და მიხედვით.

გთხოვთ შემოწირულება გადმოაგზავნოთ შემდეგი  
მისამართით:

G. VATCHNADZÉ  
6, square de Alboni, Paris-16°  
Tél. 870-80-44.

Gérant : Pr. Intskirvefi.

Imprimerie Coopérative Arpajonaise  
95, Grande-Rue — 912190 ARPAJON

Hors commerce